

ანოტაცია: ინფორმაცია პაციენტისთვის
არიფამი 1,5მგ/5მგ, მოდიფიცირებული გამოთავისუფლების ტაბლეტები
არიფამი 1,5მგ/10მგ, მოდიფიცირებული გამოთავისუფლების ტაბლეტები
ინდაპამიდი/ამლოდიპინი

პრეპარატის მიღების დაწყებამდე უურადღებით წაიკითხეთ ფურცელი-ჩანართი ბოლომდე, რადგან ის შეიცავს ოქენეთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ ეს ფურცელი-ჩანართი. შეიძლება ის კიდევ დაგჭირდეთ.
- თუ თქვენ გაგიჩნდათ დამატებითი კითხვები, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს პრეპარატი მისაღებად დაგენიშნათ პირადად თქვენ. არ გადასცეთ იგი სხვა პირებს. ეს შეიძლება მათვის საზიანო იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ მათი დაავადების სიმპტომები თქვენსას ჰგავს.
- თუ თქვენ გაგინვითარდათ რაიმე გვერდით ეფექტები, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს აგრეთვე ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით ეფექტებს, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის ამ ფურცელ-ჩანართში. იხ. განყოფილება 4.

ამ ფურცელ-ჩანართში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია

1. რა არის არიფამი და რა შემთხვევაში გამოიყენება
2. რისი ცოდნაა აუცილებელი არიფამის მიღების დაწყებამდე
3. როგორ მიიღება არიფამი
4. შესაძლო გვერდითი ეფექტები
5. როგორ ინახება არიფამი
6. შეფუთვის შემადგენლობა და სხვა ინფორმაცია

1. რა არის არიფამი და რა შემთხვევაში გამოიყენება

არიფამი ინიშნება ჩანაცვლებითი პრეპარატის სახით მაღალი არტერიული წნევის მკურნალობისას (ჰიპერტენზია) პაციენტებში, რომლებიც ინდაპამიდს და ამლოდიპინს იდებენ ცალკე ტაბლეტების სახით, იმავე დოზებით.

არიფამი შეიცავს ორ მოქმედ ნივთირებას: ინდაპამიდი და ამლოდიპინი.

ინდაპამიდი წარმოადგენს დიურეზულ საშუალებებას. დიურეზული საშუალებები ზრდის თირკმელებით გამოყოფილი შარდის რაოდენობას. თუმცა ინდაპამიდი გამოირჩევა სხვა დიურეზულებისგან, რადგან ის იწვევს თირკმელებით შარდის გამოყოფის მხოლოდ უმნიშვნელო გაძლიერებას. ამლოდიპინი წარმოადგენს კალციუმის არხების მაბლოკირებელს (მიეკუთვნება სამკურნალო საშუალებების კლასს, რომელსაც ეწოდება დიპიდროპირიდინები). მოქმედებს სისხლძარღვების მოდუნების გზით, რის შედეგედაც მათში სისხლი ადვილად გადის. ორივე მოქმედი ნივთირება აქვეითებს არტერიულ წნევას.

2. რა უნდა ვიცოდეთ არიფამის მიღების დაწყებამდე

არიფამი არ უნდა მიიღოთ

- თუ თქვენ გაქვთ ალერგია ინდაპამიდზე ან ნებისმიერ სხვა სულფანილამიდურ პრეპარატზე (ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალებების კლასი), ამლოდიპინზე ან კალციუმის არხების ნებისმიერ სხვა მაბლოკირებელზე (ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალებების კლასი) ან მოცემული პრეპარატის ნებისმიერ კომპონენტზე. (ჩამოთვლილია

განყოფილებაში 6). ალერგია შეიძლება გამოვლინდეს ქავილით, კანის გაწითლებით და სუნთქვის გაძნელებით.

- თუ გაქვთ ძალიან დაბალი არტერიული წნევა (ჰიპოტენზია),
- თუ აღგენიშნებათ აორტის სარქველის შევიწროება (აორტის სტენოზი) ან კარდიოგენური შოკი (მდგომარეობა, როდესაც გული წყვეტს ორგანიზმის სისხლით საკმარისად მომარაგებას),
- თუ გულის შეტევის შედეგად აღგენიშნებათ გულის უკმარისობა,
- თუ აღგენიშნებათ თირკმელების სერიოზული დაავადება,
- თუ აღგენიშნებათ ღვიძლის სერიოზული დაავადება ან ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია (თავის ტვინის დაზიანება, გამოწვეული ღვიძლის დაავადებით),
- თუ გაქვთ სისხლში კალიუმის დაბალი დონე.

განსაკუთრებული მითითებები და უსაფრთხოების წესები მიღებისას

არიფამის მიღების დაწყებამდე კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მკურნალ ექიმთან ან ფარმაცევტთან.

თქვენ უნდა აცნობოთ ექიმს თუ ადრე გადატანილი გაქვთ ან ამჟამად აღგენიშნებათ შემდეგი მდგომარეობებიდან ერთი მაინც:

- ცოტა ხნის წინ გადატანილი გულის შეტევა,
- თუ თქვენ გაწუხებთ გულის უკმარისობა, გულის შეცუმშვათა სიხშირის დარღვევა, გულის იშემიური დაავადება (გულის დაავადება გამოწვეული სისხლძარღვებში სისხლის არასაკმარისი ნაკადით),
- თუ აღგენიშნებათ თირკმლის ფუნქციის დარღვევა,
- თუ დაგიქვეითდათ მხედველობის სიმახვილე ან გაგიჩნდათ ტკივილები თვალებში. ეს შეიძლება იყოს თვალის სისხლძაღვოვან გარსში სითხის დაგროვების (ქორიოდული გამონაჯონი) ან თვალშიდა წნევის მომატების სიმპტომი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არიფამის მიღების დაწყებიდან რამდენიმე საათისწილირის შემდეგ. მკურნალობის გარეშე შესაძლებელია მხედველობის შეუქცევადი დაკარგვა. პენიცილინზე ან სულფონამიდზე ალერგიის შემთხვევაში, შესაძლოა აღმოჩნდეთ ამ სიმპტომების წარმოშობის მაღალი რისკის ჯგუფში.
- თუ თქვენ ძლიერ მოგემატათ არტერიული წნევა (ჰიპერტენზული კრიზი),
- თქვენ მიეკუთვნებით ხანდაზმული პაციენტების ჯგუფს და გჭირდებათ დოზის მომატება,
- თუ თქვენ დებულობთ სხვა სამკურნალო პრეპარატებს,
- თუ თქვენ იკვებებით არასრულფასოვნად,
- თუ თქვენ აღგენიშნებათ ღვიძლის ფუნქციის დარღვევა,
- თუ თქვენ აღგენიშნებათ დიაბეტი,
- თუ თქვენ აღგენიშნებათ პოდაგრა,
- თუ თქვენთვის აუცილებელია ჩაიტაროთ ანალიზი პარათიროიდული ჯირკვლის ფუნქციის შესამოწმებლად,
- თუ აღგენიშნებათ სინათლეზე მგრძნობელობის რეაქციები. ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სისხლის ანალიზი ნატრიუმის და კალიუმის დაბალი დონის ან კალციუმის მაღალი დონის გამოსავლენად. თუ ფიქრობთ, რომ რომელიმე მდგომარეობა შეიძლება თქვენ გეხებოდეთ, თუ გაგიჩნდათ კითხვები და ეჭვები ამ სამკურნალო პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით, მიმართეთ თქვნს ექიმს ან ფარმაცევტს.

სპორტსმენები უნდა იყვნენ ინფორმირებულები, იმის შესახებ, რომ არიფამი შეიცავს აქტიურ ინგრედიენტს (ინდაპამიდი), რომელსაც შეუძლია დადებითი რეაქციის ჩვენება დოპინგის ტესტზე.

ბავშვები და მოზარდები

არიფამი არ უნდა დაინტენოს ბავშვებს და მოზარდებს.

სხვა სამკურნალო პრეპარატები და არიფამი

თუ იდებთ, ცოტა ხნის წინ იდებდით ან უნდა მიიღოთ სხვა სამკურნალო პრეპარატები, შეატყობინეთ ამის შესახებ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თქვენ არ უნდა მიიღოთ არიფამი:

- ლითოუმთან ერთად (გამოიყენება ფსიქიკური დარღვევების მკურნალობისთვის, როგორიც არის მანია, ბიპოლარული აშლილობა და რეკურენტული დეპრესია) სისხლში ლითოუმის დონის გაზრდის რისკის გამო,
- დანტროლენთან ერთად (ინფუზია, გამოიყენებული სხეულის ტემპერატურის სერიოზული დარღვევებისას).
- თუ თქვენ იდებთ რომელიმე ქვემოხამოთვლილ პრეპარატს, აუცილებლად ჩააყენეთ ექიმი საქმის კურსში, რადგან შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებული სიფრთხილე:
- სხვა სამკურნალო საშუალებები მაღალი არტერიული წნევის სამკურნალოდ,
- გულის რითმის დარღვევის სამკურნალო პრეპარატები (მაგალითად ქინიდინი, ჰიდროქინიდინი, დიზოპირამიდი, ამიოდარონი, სოტალოლი, იბუტილიდი, დოფეტილიდი, ბრეტილიუმი),
- პრეპარატები ფსიქიკური დარაღვევების სამკურნალოდ, როგორიც არის დეპრესია, შფორვა, შიზოფრენია და სხვ. (მაგალითად, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, ანტიფსიქოზური პრეპარატები, ნეიროლეპსიური საშუალებები, (როგორიცაა ამისულპრიდი, სულპრიდი, სილტოპრიდი, ტიაპრიდი, ჰალოპერიდოლი, დროპერიდოლი),
- ბეპრიდილი (გამოიყენება სტენოკარდიის სამკურნალოდ, მდგომარეობის, რომელიც იწვევს ტკივილს გულმკერდის არეში),
- ციზაპრიდი, დიფემანილი (გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევების სამკურნალოდ),
- ვინკამინი ი/ვ (გამოიყენება კოგნიტური დარღვევების სამკურნალოდ კლინიკური გამოვლინებებით, მეხსიერების დაკარგვის ჩათვლით, ხანდაზმულ პაციენტებში),
- ჰალოფანტრინი (ანტიპარაზიტული პრეპარატი, გამოიყენება მაღარის ზოგიერთი სახეობის სამკურნალოდ),
- პენტამიდინი (გამოიყენება პნევმონიის ზოგიერთი სახეობის სამკურნალოდ),
- ანტიპისტამინური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ, ისეთის როგორიცაა თივის ცხელება (მაგალითად, მიზოლასტინი, ასტემიზოლი, ტერფენადინი);
- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები ტკივილის მოსახსნელად (მაგალითად იბუპროფენი) ან ასპირინის მაღალი დოზები,
- ანგიოტენზინ გარდამქმნელი ფერმენტის (აგფ) ინჰიბიტორები (გამოიყენება მაღალი არტერიული წნევის და გულის უკარისობის სამკურნალოდ),
- პერორალური კორტიკოსტეროიდები, გამოიყენებული სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, მძიმე ასთმის და რევმატოიდული ართრიტის ჩათვლით,
- პრეპარატები დიგიტალისის ფუძეზე (გულის დაავადებების სამკურნალოდ),
- მასტიმულირებელი საფადარაოო საშუალებები,

- ბაკლოფენი (კუნთების რიგიდობის სამკურნალოდ, რომლებიც ვითარდება ისეთი დაავადებებისას, როგორიც არის გაფანტული სკლეროზი),
- კალიუმის დამზოგველი დიურეზულები (ამილორიდი, სპირინოლაქტონი, ტრიამტერინი),
- მეტფორმინი (დიაბეტის სამკურნალოდ),
- იოდის შემცველი კონტრასტული საშუალებები (გამოიყენება გამოკვლევის ჩატარებისას რენტგენის სხივებით),
- კალციუმის ტაბლეტები ან კალციუმის სხვა დანამატები,
- იმუნოდეპრესიული პრეპარატები (აკონტროლებენ ორგანიზმის იმუნურ რეაქციებს), რომელიც გამოიყენება აუტოიმუნური დაავადებების სამკურნალოდ ან ტრასნკლანტაციის შემდგომ (ციკლოსპორინი, ტაკროლიმუსი)
- სიროლიმუსი, ეპროლიმუსი, ტემისიროლიმუსი და სხვა პრეპარატები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეგრედ წოდებულ თორ ინჰიბიტორების კლასს (პრეპარატები რომლებიც ცვლიან იმუნური სისტემის მუშაობას),
- ტეტრაკონაქტიდი (კრონის დაავადების სამკურნალოდ),
- სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგალითად, კეტოკონაზოლი, იტრაკონაზოლი, ამფოტერიცინ ბ ინექციისთვის),
- რიტონავირი, ინდინავირი, ნელფინავირი (ეგრედწოდებული პროტეაზას ინჰიბიტორები, გამოყენებული აივ-ის სამკურნალოდ),
- ბაქტერიული ინფექციების სამკურნალო ანტიბიოტიკები (მაგალითად, რიფამპიცინი, ერითრომიცინი, კლარიტომიცინი, სპარფლოქსაცინი, მოკსიფლოქსაცინი),
- hypericum perforatum (კრაზანა),
- ვერაპამილი, დილთიაზემი (გულ-სისხლძარღვთა პრეპარატები),
- სიმვასტატინი, პრეპარატი, ქოლესტერინის შესამცირებლად),
- ალოპერინოლი (პოდაგრის სამკურნალოდ),
- მეთადონი (გამოიყენება ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ).

არიფამის მიღება საკვებთან და სასმელთან ერთად

პაციენტებმა, რომლებიც იღებენ არიფამს არ უნდა მიიღონ გრეიფფრუტი ან გრეიფფრუტის წევნი, რადგან მისმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლში მოქმედი ნივთიერების - ამლოდიპინის დონის მომატება, რამაც შეიძლება განაპირობოს არიფამის პიპოტენზური ეფექტის არაპროგნოზირებადი მომატება.

ორსულობა და ძუძუთი გვება

თუ ორსულად ხართ ან ბავშვს ძუძუთი კვებავთ, აგრეთვე გაქვთ ორსულობაზე ეჭვი ან გეგმავთ ორსულობას, ამ პრეპარტის მიღებამდე გაიარეთ მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის კონსულტაცია. მოცემული პრეპარტი ორსულობის პერიოდში რეკომენდებული არ არის. თუ იგეგმება ორსულობა ან დგინდება ორსულობის ფაქტი, რაც შეიძლება ადრე უნდა განხორციელდეს ალტერნატულ თერაპიაზე გადასვლა. თუ ბავშვს ძუძუთი კვებავთ, არიფამის მიღება რეკომენდებული არ არის. თუ ბავშვს ძუძუთი კვებავთ ან გეგმავთ ამას, დაუყოვნებლივ ჩააყენეთ ექიმი საქმის კურსში.

ავტოტრანსპორტის და მექანიზმების გამოყენება

არიფამმა შეიძლება იმოქმედოს ავტომობილის მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე. თუ ტაბლეტის მიღების შემდეგ თავს ცუდად გრძნობთ, აღგენიშნებათ თავბრუსხევევა, დაღლილობა ან თავის ტკიფილი, არ დაჯდეთ საჭესთან, არ მართოთ მექანიზმები და დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს ექიმს. მოცემულ შემთხვევაში

უარი უნდა თქვათ ავტომობილის მართვაზე და მომატებული ყურადღების მომთხოვნ სხვა ქმედებებს.

არიფამი შეიცავს ლაქტოზას. თუ ექიმმა გითხოვათ, რომ ალგენიშნებათ ზოგიერთი შაქრის აუტანლობა, ამ პრეპარატის მიღების დაწყებამდე მიმართეთ ექიმს.

არიფამი შეიცავს ნატრიუმს

არიფამის ერთი ტაბლეტი შეიცავს 1მმოლ ნატრიუმს (23გ), რაც ნიშნავს, რომ ფაქტიურად არ შეიცავს.

3. როგორ მიიღება არიფამი

ამ პრეპარატის მიღებისას ყოველთვის მკაცრად დაიცავით ექიმის დანიშნულება. თუ ეჭვი გეპარებათ პრეპარატის მიღების სისწორეში უნდა მიმართოთ ექიმს ან ფარმაცევტს.

პრეპარატის რეკომენდებული დოზაა - 1 ტაბლეტი დღეში ერთხელ, უმჯობესია დილით. ტაბლეტი უნდა გადაულაპოთ მთლიანად, დაუღვეჭავად, წყლის დაყოლებით.

თუ თქვენ მიიღეთ რეკომენდებულზე მეტი არიფამი

ძალიან დიდი რაოდენობით ტაბლეტების მიღებამ, შეიძლება გამოიწვიოს დაქვეთებული, სახითვათოდ დაბალი წნევაც. შეიძლება ალგენიშნოთ თავბრუსხვევა, ძილიანობა, სისუსტე ან დაკარგოთ გონება. შეიძლება გაგინვითარდეთ გულისრევა, დებინება, კრუნჩხვები, ცნობიერების დაბინძვა და თირკმელებით გამოყოფილი შარდის მოცულობის შეცვლა. წნევის მნიშვნელოვანმა დაცემამ შეიძლება გამოიწვიოს შოკი. კანი შეიძლება შეხებისას გახდეს ცივი და ნოტიო, თქვენ შეიძლება გონება დაკარგოთ.

თქვენს ფილტვებში შეიძლება დაგროვდეს ჭარბი სითხე (ფილტვის შეშუპება) რამაც გამოიწვიოს ქოშინი, რომელიც შეიძლება განვითარდეს მიღებიდან 24-48 საათის შემდეგ.

თუ თქვენ მიიღეთ ძალიან დიდი რაოდენობის არიფამი დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

თუ დაგავიწყდათ არიფამის მიღება

არ ინერვიულოთ. თუ დაგავიწყდათ ტაბლეტის მიღება, გამოტოვეთ ეს დოზა. შემდეგი დოზა მიიღეთ საჭირო დროს. არ გააორმაგოთ დოზა, გამოტოვებულის კომპენსაციისთვის.

თუ წყვეტით არიფამის მიღებას

რადგან მაღალი არტერიული წნევის მკურნალობა ჩვეულებრივ გრძელდება მთელი ცხოვრება, პრეპარატის მიღების შეწყვებამდე მიმართეთ თქვეს ექიმს. პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, მიმართეთ ექიმს.

4. შესაძლო გვერდითი ეფექტები

როგორც ყველა სხვა სამკურნალო პრეპარატმა ამ მედიკამენტმაც შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები, თუმცა არა ყველა პაციენტში.

დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მოცემული მედიკამენტის მიღება და მიმართეთ ექიმს თუ ალგენიშნებათ შემდეგი გვერდითი ეფექტებიდან რომელიმე, რომლებიც შესაძლოა იყოს სერიოზული:

- ქუთუთოების, სახის ან ტუჩების შეშუპება (ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტი, შეიძლება აღინიშნოს 10000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში),
- ენის და ყელის შეშუპება, რომელიც იწვევს სუნთქვის სერიოზულ გაძნელებას (ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტი, რომელიც შეიძლება განვითარდეს 10000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში)
- კანის სერიოზული რეაქციები, მოცულობითი გამონაყარის, ჭინჭრის ციების, მთელი სხეულის კანის გაწითლების, ძლიერი ქავილის, ბუშტუკების წარმოქმნის, კანის აქერცვლის და შეშუპების, ლორწოვანი გარსების ანთების (სტივენს-ჯონსონის სინდრომი, ტოქსიკურ ეპიდერმული ნეკროლიზი) ან სხვა ალერგიული რეაქციების ჩათვლით (ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტი, შეიძლება აღინიშნოს 10000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში)
- გულის შეტევა, (ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტი, შეიძლება აღინიშნოს 10000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში)
- გულისცემის რითმის დარღვევა (არაგავრცელებული გვერდითი ეფექტი, შეიძლება აღინიშნოს 100-დან არა უმეტეს 1 პაციენტში)
- სიცოცხლისთვის საშიში არარეგულარული გულისცემა (ორმიმართული ტაქიკარდია) (სიხშირე უცნობია),
- კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მწვავე ტკივილები მუცელში და ზურგში, ახლავს შეუძლოდ ყოფნა (ძალიან იშვიათი გვერდითი ეფექტი, შეიძლება აღინიშნოს 10000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში).
- კუნთური სისუსტე, სპაზმები, მტკივნეული მგრძნობელობა ან ტკივილები, განსაკუთრებით შეუძლოდ ყოფნის დროს ან ტემპერატურის მომატებისას – ეს მდგომარეობები შეიძლება გამოწვეული იყოს კუნთური ქსოვილის უჯრედების რღვევის ანომალური პროცესით. (სიხშირე უცნობია).

განვითარების სიხშირის შემცირების მიხედვით სხვა გვედითი ეფექტები შეიძლება მოიცავდეს:

- ძალიან გავრცელებული გვერდითი ეფექტები: (აღინიშნება 10-დან 1 პაციენტზე მეტს):
- შეშუპება (სითხის შეკავება).
- გავრცელებული გვერდითი ეფექტები: აღინიშნება 10-დან არა უმეტეს 1 პაციენტში.
- თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ძილიანობა (განსაკუთრებით თერაპიის დასაწყისში),
 - მხედველობის დარღვევა, თვალებში გაორება
 - გულისცემის გახშირება (საგუთარი გულისცემის შეგრძნება), ჰიპერემია,
 - ქოშინი,
 - მუცლის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება (გულისრევა), ნაწლავების მუშაობის შეცვლა, დიარეა, ყაბზობა, საკვების მოუნელებლობა,
 - კოჭ-წიგინის სახსრის შეშუპება, დაღლილობა, სისუსტე, კუნთური სპაზმები,
 - სისხლში კალიუმის დაბალი დონე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კუნთების სისუსტე,
 - კანის გამონაყარი.

არაგავრცელებული გვერდითი ეფექტები: აღინიშნება 100-დან არა უმეტეს 1 პაციენტს

- ხასიათის ცვლილება, შფოთვა, დეპრესია, უძილობა,

- ტრემორი,
- გემოვნების ცვლილება,
- კიდურების დაბუჟება ან ჩხვლეტის შეგრძნება კიდურებში, ტკივილის შეგრძნების დაკარგვა,
- კურებში შუილი,
- დაბალი არტერიული წნევა,
- სისხლში ნატრიუმის დაბალი შემცველობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუწყლოება და არტერიული წნევის დაწევა
- გულის წასვლა,
- ცემინება/სურდო, გამოწვეული ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთებით (რინიტი),
- ხველა,
- პირის ღრუს სიმშრალე, დებინება,
- თმის ცვენა, მომატებული ოფლიანობა, კანის ქავილი, კანზე წითელი ლაქები, კანის ფერის ცვლილება, ჭინჭრის ციება,
- შარდის გამოყოფის დარღვევა, მოშარდვის ხშირი სურვილები დამით, ხშირი შარდვა,
- იმპოტენცია (ერექციის მიღწევის და შენარჩუნების შეუძლებლობა),
- ერექციის მიღწევის შეუძლებლობა; მამაკაცებში დისკომფორტის შეგრძნება სარძევე ჯირკვლებში ან სარძევე ჯირკვლების გადიდება,
- ტკივილი, შეუძლოდ ყოფნა,
- სახსრების ან კუნთების ტკივილი, ზურგის ტკივილი,
- სხეულის მასის მომატება, სხეულის მასის შემცირება.

იშვიათი გვერდითი ეფექტები: აღინიშნება 1000-დან არა უმეტეს 1 პაციენტში

- ცნობიერების დაბინდვა,
- თავბრუსხევების შეგრძნება,
- სისხლში ქლორიდის დაბალი შემცველობა,
- სისხლში მაგნიუმის დაბალი შემცველობა

დალიან იშვიათი გვერდითი ეფექტები: აღინიშნება 10000 დან არა უმეტეს 1 პაციენტში.

- სისხლში უჯრედული ელემენტების ცვლილება, როგორიც არის თრომბოციტოპენია (თრომბოცირტების რაოდენობის შემცირება, რაც იწვევს მსუბუქ სილურჯეებს და ცხვირიდან სისხლდენას), ლეიკოპენია (ლეკოციტების რაოდენობის შემცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის აუცხნელი მომატება, ყელის ტკივილი ან სხვა გრიპის მსგავსი სიმპტომები - ამ შემთხვევაში დაუკავშირდით თქვენს ექიმს) და ანემია (ერთორციტების რაოდენობის დაქვეითება),
- სისხლში შაქრის დონის მომატება (ჰიპერგლიკემია),
- სისხლში კალციუმის დონის მომატება,
- ნერვული დარღვევები, რომელიც იწვევს სისუსტეს, ჩხვლეტას და დაბუჟებას,
- ღრძილების შეშუპება,
- მუცლის შებერილობა (გასტრიტი),
- დვიძლის ფუნქციის დარღვევა, დვიძლის ანთება (ჰეპატიტი), კანის გაყვითლება (სიყვითლე), დვიძლის ფერმენტების დონის მომატება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ზოგიერთი დიაგნოსტიკური ტესტის შედეგზე; დვიძლის ფუნქციის

- დარღვევის შემთხვევაში, შესძლებელია დვიძლისმიერი ენცეფალოპათიის განვითარება (ტვინის დაზიანება, გამოწვეული დვიძლის დაავადებით),
- თირკმლის დაავადებები,
 - კუნთების მომატებული დაჭიმულობა,
 - სისხლძარღვების ანთება, ხშირად ახლავს კანის გამონაყარი,
 - სინათლის მიმართ მგრძნობელობა.

უცნობია (არსებული მონაცემებით შეფასება შეუძლებელია):

- შეიძლება აღინიშნოს ლაბორატორიული პარამეტრების ცვლილებები; ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სისხლის ანალიზი, თქვენი მდგომარეობის შეფასების მიზნით. შეიძლება აღინიშნოს ლაბორატორიული პარამეტრების შემდეგი ცვლილებები:
 - სისხლში ნატრიუმის დაბალი დონე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დეპიდრატაცია და არტერიული წნევის დაქვეითება.
 - შარდმჟავას დონის მომატება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გააუარესოს პოდაგრის (სახსრების ტკივილი, განსაკუთრებით ფეხების სახსრებში) მიმდინარეობა,
 - სისხლში გლუკოზის დონის მომატება, დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში,
- ანომალიები ეკგ-ზე,
- ახლომხედველობა (მიოპია),
- არამკაფიო მხედველობა,
- მხედველობის სიმახვილის შემცირება, ან თვალების ტკივილი მარალი წნევის გამო (თვალის სისხლძარღვოვან შრეში სითხის აკუმულაციის შესაძლო ნიშნები (ქორიოდული გამომაჟონი) ან მწვავე დახურულკუთხოვანი გლაუკომა).
- ტრემორი, რიგიდული პოზა, ნიღბისებური სახე, შენელებული მოძრაობები, სიარულის რწევითი, არაბალანსირებული სტილი.

თუ გაწუხებთ სისტემური წითელი მგლურა (კოლაგენური დაავადების ტიპი) თქვენი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს.

შეტყობინება გვერდით ეფექტებზე

თუ თქვენ გაგიჩნდათ რომელიმე გვერდითი ეფექტი, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს აგრეთვე ეხება ნებისმიერ გვერდით ეფქტებს, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის ამ ფურცელ-ჩანართში.

გვერდით ეფექტებზე შეტყობინებით თქვენ გვეხმარებით სამკურნალო პრეპარატზე მეტი ინფორმაციის მოგროვებაში.

5. როგორ ინახება არიფამი

პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის უხილავ და მიუწვდომელ ადგილზე.

პრეპარატის გამოყენება არ შეიძლება ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც მითითებულია მუყაოს და კონტურულ-უჯრედულ შეფუთვაზე ან კონტეინერზე. ვარგისობის ვადა ეხება მითითებული თვის ბოლო დღეს.

ინახება არა უმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

წამლები არ გადააგდოთ კანალიზაციაში და საყოფაცხოვრებო ნაგავში. ჰეიტეთ ფარმაცევტს, როგორ უნდა გადავყაროთ წამლები, რომელთა მიღებაც დასრულებულია. ეს ზომები მიმართულია გარემოს დაცვისკენ.

6. შეფუთვის შემადგენლობა და სხვა ინფორმაცია

რას შეიცავს არიფამი

- მოქმედი ნივთიერებები – ინდაპამიდი და ამლოდიპინი. ერთი ტაბლეტი შეიცავს 1,5მგ ინდაპამიდს და 6,935მგ ამლოდიპინის ბესილატს, რაც შეესაბამება 5მგ ამლოდიპინს. ერთი ტაბლეტი შეიცავს 1,5მგ ინდაპამიდს და 13,87მგ ამლოდიპინის ბესილატს, რაც შეესაბამება 10მგ ამლოდიპინს.
- სხვა ინგრედიენტები:
 - არიფამი 1,5მგ/5მგ და 1,5მგ/10მგ ტაბლეტის ბირთვი: ლაქტოზის მონოკიდრატი, ჰიპორომელოზა (E464), მაგნიუმის სტეარატი (E572), ჰოვიდონი (E1201), სილიციუმის კოლოიდური უწყლო დიოქსიდი, დიკალციუმის დიპიდროფოსფატი, მიკროკრისტალური ცელულოზა (E460), ნატრიუმის კროსკარმელოზა (E468), პრეექლატინიზებული სიმინდის სახამებელი,
 - არიფამის 1,5მგ/5მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები: გლიცერინი (E422), ჰიპორომელოზა (E464), მაკროგოლი 6000, მაგნიუმის სტეარატი (E572), ტიტანის დიოქსიდი (E171),
 - არიფამის 1,5მგ/10მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები: გლიცერინი (E422), ჰიპორომელოზა (E464), რკინის წითელი ოქსიდი (E172), მაკროგოლი 6000, მაგნიუმის სტეარატი (E572), ტიტანის დიოქსიდი (E171).

როგორ გამოიყურება არიფამი და შეფუთვის შემადგენლობა

არიფამი 1,5მგ/5მგ – მოდიფიცირებული გამოთავისუფლების, აპკიანი გარსით დაფარული, თეთრი, მრგვალი, ტაბლეტები, დიამეტრი 9მმ, გრავირებით ერთ მხარეს.

არიფამი 1,5მგ/10მგ - მოდიფიცირებული გამოთავისუფლების, აპკიანი გარსით დაფარული, ვარდისფერი, მრგვალი, ტაბლეტები, დიამეტრი 9მმ, გრავირებით ერთ მხარეს.

ტაბლეტები გამოდის კონტურულ-უჯრედული შეფუთვებში, 30 ტაბლეტი.

გაცემის რეჟიმი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი - II, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი

Les Laboratoires Servier

(ლე ლაბორატურ სერვის)

50, rue Carnot

92284 Suresnes cedex-France (საფრანგეთი)

მწარმოებელი

Les Laboratoires Servier Industrie

(ლე ლაბორატურ სერვის ინდუსტრი)

905 route de Saran

45520 Gidy - France (საფრანგეთი)

ჩანართის ბოლო გადახედვის თარიღი: ნოემბერი 2022